მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ
დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	სპს „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95“
საიდენტიფიკაციო კოდი	222430876
რეგიონი	იმერეთი
რაიონი	ქუთაისი
მისამართი	ჯავახიშვილის ქ.№24
საფოსტო ინდექსი	4600
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://milenium.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	swavlisdziri@yahoo.com
ტელეფონი/ფაქსი	571021772
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	ნანი შარუხია
ტელეფონი	571021772
ელ-ფოსტა	-----
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	23
მათ შორის პრაქტიკოსი/უფროსი/წამყვანი	6/5/0
2023 წლამდე პირობით აყვანილი	12
მოწვეული მასწავლებელი	
მოსწავლე/სსსმმოსწავლე	
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	N30, 10 თებერვალი 2017წ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	150

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	ბრძანება N 295. 23.04.2019
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ლევან ღურწკაია - თავმჯდომარე; მაკა ჭიაბერაშვილი- წევრი.
ვიზიტისგანხორციელების პერიოდი	06, 07 და 08 მაისი 2019 წელი
დასკვნის მომზადების თარიღი	13 მაისი 2019 წელი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	**ა)** სპს დაგმარა ცანავა ,,ხელოსანი - 95“ 2018-19 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 05 სექტემბრის N1 სხდომაზე (პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1.) დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმა არ წარმოუდგენია მყარად აკინძული ერთიანი დოკუმენტის სახით, გვერდების განლაგება/დანომვრა არათანმიმდევრულია (გვ.18 ,22 მეორედება ორჯერ) და არის აცდენილი პირველ გვერდზე მოცემულ სარჩევთან. ვიზიტის ბოლოს დირექტორმა აკინძა მარტივად, თუმცა ხარვეზები დარჩა იგივე. **ბ)** სკოლის სასწავლო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კონკრეტულად კი დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით; ამავე ბრძანებით N1ა 05.09.2019 დამტკიცებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია: დებულება,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	შინაგანაწესი და სხვა, თუმცა ვერ ვნახეთ სკოლის დებულება ან რამე სხვა დოკუმენტი, რომლითაც არის განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგემის მიმღები სტრუქტურული ორგანო. მხოლოდ შინაგანაწესის გვ.16 5.17 მუხლი გვეუბნება , რომ სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ვიზიტის ფარგლებში ეთხოვა დირქტორს წარმოადგინოს N1ა 05.09.2019 ბრძანებით დამტკიცებული ყველა ის დოკუმენტი, მათ შორის სკოლის დებულება,რითაც რეგულირდება სკოლის საქმიანობა. შინაგანაწესის მიზანია შრომის დისციპლინის ორგანიზება, სამუშაო დროის სრული და რაციონალური გამოყენება, ხოლო სკოლის დებულება განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურასა და თითოეული სტრუქტურული დანაყოფის ფუნქცია-მოვალეობებს; ვიზიტის ბოლო დღეს, 8 მაისს, დირექტორმა წარმოადგინა სკოლის დებულება, რომელიც გარკვეულ შეუთავსებლობაშია არსებულ სასკოლო დოკუმენტაციასთან, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს დირექტორი ინდ-სამართლებივი აქტით, ხოლო დებულების მიხედვით მისიას და გრიფმინიჭებული სახელმძღანელოების ნუსხას ,რომლებიც სსგ-ს შემადგენელი ნაწილებია,ამტკიცებს პედ.საბჭო. ასევე აცდენაა კათედრის ხელმძღვანელის არჩევის წესში, კერძოდ კათედრის დებულებაში კათედრის წევრები თავმჯომარეს ირჩევენ ორი წლის ვადით,**(დანართიN1),** ხოლო სკოლის დებულებაში ერთი წლის ვადით**(დანართი2),** . ასევე სკოლის დებულებაში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულებიდან ესქულის ბაზაში ჩანს მხოლოდ ექიმი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი , ინფო მენეჯერი, დარაჯი, მასწავლებლები. ასევე ადმინისტრატორი, რომელიც არ ჩანს სკოლის სტრუქტურაში. ბაზაში არ არის დირექტორი, მოადგილე, დამლაგებელი. მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია სკოლას ვიზიტის მანძილზე არ წარმოუდგენია, სტრუქტურაში კი ეს სტრუქტურული ერთეული ასახულია. ასევე არ ჩანს ხელშეკრულებები სკოლაში დასაქმებულ მთელ რიგ პირებთან.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ

	გ) წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული და შედგება 10 თავისაგან: • სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილი; • სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება; • საგნობრივი კათედრები; • კლასის დამრიგებლების საქმიანობის მიზნები და ამოცანები; • სასკოლო კალენდარი და საათობრივი ბადე; • სასწავლო მასალები და გრიფირებული სახელმძღვანელოები; • ესგ-თი გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება; • მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები, მიდგომები; • ინკლუზიური განათლება; • სსგ მონიტორინგისა და განვითარების აღწერა. **დ)** სკოლის მისია ახდენს აქცენტირებას სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტენოლოგიების გამოყენებაზე; თუმცა წარმოდგენილ საათობრივ ბადესა თუ კათედრის დოკუმენატაციაში არ იკვეთება მისიაზე ორიენტირება. ასევე სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი: მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, **(დანართი ე)** ვერ იქნება მიღწევადი და განხორციელებადი, რადგან სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი 1 წელია არის სარემონტო პროცესში და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა ფიზ.აღზრდის / სპორტის მიმართულებით ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც დადასტურდა მშობლებთან ინტერვიუს დროს. (ცხრილში წერია , მაგრამ არ უტარდებათ-გვიპასუხა მშობელმა); **ვ)** სკოლის მიერ 2018-2019 სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი სსგ-ს **მუხლი 2.1** წინააღმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული დაკონცეპტუალური ნაწილის **მუხლი 9**. სწავლა-სწავლების ხუთი საგანმანათლებლო პრინციპთან.**(დანართი4);** ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი,რომ ადმინისტრაცია და პედაგოგიური საბჭო არ იცნობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული 2018-2024 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილს. ამას ადასტურებს დებულების მუხლი 2. პუნქტი 4, სადაც მითითებულია სკოლის საქმიანობის წარმართველ ერთ-ერთ დოკუმენტად მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანება,**(დანართი 5)** ხოლო არსად ნახსენებიც კი არაა N 40/ბრძანება,რომელმაც უმნიშვნელოვანესი ცვლილება შეიტანა სწავლა-სწავლების პროცესში. (სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პარადიგმის ხუთი პრინციპი); **ზ)** დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები), ძირითადი მიზნები აცდენილია ეროვნული სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის მისიასთან.**(დანართი 6.)** **თ)** სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა: 1. დაწყებითი საფეხურის კათედრა; 2. ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; 3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 4. უცხოური ენების კათედრა; 5. სპორტის,ხელოვნებისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა; კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები და მოვალეობები გაწერილია კათედრის დებულებაში; კათედრის შეკრების სავალდებულო მინიმუმი წლის მანძილზე მითითებულია სამი, ნაცვლად სავალდებულო ოთხისა, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის ესგ მუხლი 20. ვიზიტის დროს მოვითხოვეთ კათედრის პორტფოლიოები; წარმოგვიდგინეს მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურისა და საზ.მეცნიერებათა კათედრის პორტფოლიო. აღნიშნულ პორტფოლიოში ესგ-ს მიხედვით სავალდებულო 4 სხდომიდან ჩატარებული მხოლოდ პირველი სხდომა. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, სასკოლო გეგმაში არის მხოლოდ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ შემაჯამებელთა რაოდენობა მითითებული, თუმცა არ არის შემაჯამებლების გრაფიკი; სკოლაში არ იწერება ჩატარებული შემაჯამებლის ანალიზი, ამგვარ ანალიზსს აკეთებენ მხოლოდ სემესტრის ბოლოს. კათედრის პორტფოლიოში ინახება საგნის თემატური გეგმები. ვიზიტის ბოლო დღეს ქართული ენისა და ლიტერატურისა და საზოგადაებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა კათედრის N2 სხდომის ოქმი და პირველი სემსტრის ანგარიში; სხდომის ოქმში განხილულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება,თუმცა არ ჩანს სტატისტიკა.(უნდა აღინიშნოს,რომ სკოლაში სულ არის 41 მოსწავლე) ასევე ოქმის თანახმად შედგა გრაფიკი დამატებითი მეცადინეობებისა დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთათვის, მაგრამ არ მომხდარა ასეთი მოსწავლეების იდენტიფიცირება არც ერთ სხდომაზე და არ არის ასახული ეს საკითხი არც ერთ დოკუმენტში, ასევე არ არის შედგენილი მეცადინეობის გრაფიკი ასეთი მოსწავლეებისათვის. შესაბამისად არსებული სხდომაცა და ანგარიშიც ატარებს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს; კათედრის მეორე სემესტრის სამუშაო გეგმაში ვხედავთ საატესტატო გამოცდებისათვის მზადებას. ამგვარი ტიპის გამოცდა სასკოლო გეგმაში არ ჩანს და ვერც გამოჩნდებოდა , რადგან ატესტატის გაცემის საფუძველი ვერ გახდება სკოლის გამოცდა. შესაბამისად ადგილი აქვს აცდენას სასკოლო სასწავლო გეგმასთან. **ი)** სასკოლო დოკუმენტაციაში, კერძოდ პედაგოგიური საბჭოს ოქმსა და სსგ-ში მითითებულია, რომ სკოლას უნდა ჰყავდეს 12 დამრიგებელი. **(დანართი 7.)** ამასთან პედსაბჭოს ოქმი N2 მითითებული დანართები არ ახლავს; დირექტორის ბრძანება N5 7.09.2018 ამტკიცებს კლასის დამრიგებლის სამსახურეობრივ ინსტრუქციას, თუმცა ვიზიტის პერიოდში ვერ მოინახა აღნიშნული დოკუმენტი. სასკოლი სასწავლო გეგმაში , კერძოდ მე-3 თავში, ასახულია დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები. აქვე არსებობს დირექტორის ბრძანება N9 10.09.2018 **(დანართი 8.)** რომლის თანახმადაც აღნიშნული დამრიგებლები ახორციელებენ დაკისრებულ ფუნქციას 1 ოქტომბრიდან, რაც

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ შეუსაბამობაში მოდის სსგ-სთან და ასევე დგება საკითხი , როგორ ხდებოდა მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა და სადამრიგებლო ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება სწავლის დაწყებიდან, (17.09.2018); სასკოლო სასწავლო არ არის წარმოდგენილი დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამები. **კ) თავი.5 სასწავლო კალენდარი და საათობრივი ბადე;** წარმოდგენილია სასწავლო წლის დაწყება - დამთავრების თარიღები; არდადეგების ხანგრძლივობა; სასწავლო კვირების რაოდენობა კლასების მიხედვით; ასევე დასვენების დღეები; 6 მაისს , ჩვენი ვიზიტის პირველი დღეს სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. ვერ მოხდა კომუნიკაცია სკოლის უფლებამოსილ ვერც ერთ პირთან. ფოიეში გამოკრულ სასკოლო კალენდარში მოცემული იყო დასვენების დღეები, თუმცა არ იყო ასახული 6 მაისი დასვენების დღედ. 7 მაისს გამოიკრა კედლზე ბრძანება: N113 3.05.2019, რომლის თანახმადაც დირექტორი აცხადებს 6 მაისს დასვენების დღედ. როდესაც მოვითხოვეთ რეგისტრაციის ჟურნალი, დირექტორმა ვერ წარმოადგინა და განაცხადა, რომ ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი და შესაბამისი დოკუმენტაცია ჰქონდა სახლში. მათი წარმოდგენა მოხდა დაახლოებით 3 საათის შემდეგ. დათვალიერებამ გამოკვეთა უამრავი ტექნიკური და შინაარსობრივი დარღვევა, კერძოდ არ არსებობდა და მოგვიანებით წარმოადგინეს N113 ბრძანების წინამდებარე ბრძანებები (N112-დან N103-მდე) . აქვე, სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტების დიდ უმრავლესობას აქვს არარა აქტების სახე **(დანართი 9)** -მათი ნაწილი არის ქსეროასლი, აქვს გადასწორებული ნუმერაცია, არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დირექტორის მიერ; ამ უკანასკნელზე დირექტორის მიეცა რეკომენდაცია , მოახდინოს ბეჭდის დასმა და ხელმოწერა; სარეგისტრაციო ჟურნალების გვერდები არის დაუნომრავი, ჟურნალები არ არის აკინძული და დალუქული; **ლ)** საათობრივი ბადე თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა სკოლის მისიით გამსაზღვრული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის წარმართვის დროს არ დასტურდება არც დოკუმენტური და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ არც ვიზუალური მასალით; არ ფუნქციონირებს სკოლის ვებ-გვერდი, არ არსებობს კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია; საათობრივ ბადეში მოცემულია მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შესაბამისი კლასების მითითებით. დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლას არ ჰყავს მე-4 კლასი; საათობრივ ბადეში კი ასახულია მე-4 კლასის საათობრივი ბადე; არ არსებობს არც ერთი ინდ.აქტი, რომელიც გვაუწყებს კლასის გაუქმებას მიმდინარე სსწავლო წლის მანძილზე. ასევე მე-4 კლასს ჰყავს დამრიგებელი,რაც ასახულია სასკოლო დოკუმენტაციაში;**(დანართი 8.)** **მ)** სასწავლო მასალა წარმოდგენილია მხოლოდ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხის სახით (კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით) სკოლაში არ არის დაწყებით საფეხურის გრიფირებული წიგნები სრულყოფილი სახით წარმოდგენილი. **ნ)** სასკოლო სასწავლო გეგმაში **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა** აღწერს სასკოლო შეფასების პრინციპებსა და მიდგომებს, შეფასების ტიპებს, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნებსა და მათ აღწერილობას, სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები, შემაჯამებელი დავალების კომპონენტები და აღდგენის წესი, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, შეფასება და გაცდენები, გამოცდის ტიპები, დაწვრილებით გაწერილია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, ექსტერნატის ფორმით და გამოსაშვები გამოცდა, შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. აქვე მოცემულია სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები; ვიზიტის ბოლო დღეს სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების გრაფიკი,**(დანართი 10.)** თუმცა დავალებების ტიპები კვლავაც არ არის მითითებული. ასევე წარმოგვიდგინეს შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში ქიმიაში **(დანართი 11);** რომელიც არ შეიცავს ეფექტურ მასალას მოსწავლის საჭიროებების შესახებ კონკრეტული მიმართულებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ **სსგ 8.10** - შეფასების გამჭვირვალობა-ცალსახად ამბობს, რომ ყველა საკალსო ოთახში უნდა იყოს გამოკრული საგნებისა და კომპონენტების მიხედვით შეფასების რუბრიკები,**(დანართი 12),** რაც ვიზიტის პერიოდში არ დადასტურებულა; საკლასო ჟურნალებში ფიქსირდება განმსაზღვრელი შეფასებები მე-5 კლასის პირველ სემესტრში (მუსიკა,მათემატიკა), **(დანართი 13) ;** ასევე მე-5 და მე-6 კლასებში ხდება მოსწავლეთა შეფასება საშინაო დავალების კომპონენტში; რაც წიააღმდეგობაშია ესგ-სთან; **(დანართი 14) ;** **ო)** სკოლაში არ მოქმედებს მშობლის ინფორმირების განსაზღვრული წესი, თუმცა სსგ-ში არის მითითებული, რომ თვეში ერთხელ სკოლა მშობელს აწვდის მისი შვილის აკადემიური მოსწრების ფურცელს. ვიზისტის პერიოდში არ მომხდარა ასეთი ფურცლის წარმოდგენა. ზეპირი ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ სატელეფონო კავშირით ხორციელდება მშობლის ინფორმირება. **პ) ინკლუზიური სწავლების პრინციპები** - ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების დებულება და ასევე სსსმ მოსწავლეების სწავლების სტრატეგიული გეგმა; რომელსაც სკოლა განახორციელებს საჭიროების შემთხვევაში; ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე და ამ მოტივით ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არ იყო შემუშავებული; **ჟ)** სასკოლო გეგმის ბოლო თავი, რომელიც ეთმობა სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორნიგსა და განვითარებას, ვიზტის განმავლობაში არ მომხდარა სემესტრული სასეწავლო წლის მანძილზე გაწეული მუშაობის არც ერთი ანგარიშის წარმოდგენა. (დამრიგებლის ანგარიში; კათედრის ხელ-ლის ანგარიში; მოადგილის ანგარიში; დირექტორის ანგარიში;) არ არსებობს სკოლის სტრუქტურული დაყოფის აღმწერი დოკუნენტი,რის გამოც რთულია დადგინდეს მართვის მექანიზმები და ამ მექანიზმების ფუნქცია-მოვალეობების მარეგულლუირებელი დოკუმენტაციის რელევანტურობა ; ვიზიტის ბოლოს დირექტორმა წარმოადგინა სკოლის დებულება, სადაც ასახული არის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ სკოლის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები,თუმცა აქაც აცდენა გვაქვს სკოლაში რეალურად მოქმედ საშტატო განრიგთან. **რ)** ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი არ არის წარმოდგენილი ცალკე დოკუმენტის სახით, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში მხოლოდ დაფიქსირებულია საგანთა დასახელება- სახალისო მათემატიკა და მეტყველების კულტურა და გამოყენებული სახელმძღვანელოები; არ ჩანს საგნის სწავლების მიზნები,ამოცანები,სილაბუსი/გეგმა,რის მიხედვითაც ხორციელდება საგნის სწავლება; **ს)** XII კლასის მოსწავლეებს არჩევით საგნად არჩეული აქვთ საგანი ხატვა, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულია მე-9 კლასისათვის. ხოლო მე-11 კლასში ისწავლეს არჩევით საგნად გერმანული. საშუალო საფეხურის მანძილზე მათ არჩევით საგნად მხოლოდ ეს ორი საგანი აქვთ გავლილი,რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის ესგ-ს ჩანაწერთან: შესაძლებლობის შემთხვევაში სკოლამ მოსწავლეს უნდა შესთავაზოს არჩევითი საგნების მაქსიმალურად ფართო არჩევანი; გათვალისწინებით იმისა, რომ სკოლის მისიაში გაცხადებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართულების გაძლიერება სასწავლო პროცესში, ჩნდება კითხვა, რატომ არ ხდება საშუალო საფეხურზე ამ მიმართულების გაძლიერება არჩევითი საგნის ხარჯზე, რაც პირდაპირ დაეხმარებოდა სკოლის მისიის განხორციელებას. 2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში არჩეული სპორტის სახეობებია: ჭადრაკი,ფრენბურთი და კალათბურთი; ზეპირი გასაუბრებისას ირკვევა, რომ სკოლაში ხდებოდა ფეხბურთის სწავლება , ხოლო შემდეგ ჩანაცვლდა კარატეთი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	სკოლაში არ არსებობს სპორტის არც ერთი სახეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ - ტქენიკური რესურსი. შესაბამისად ვერ ხორციელდება ამ საგნის სწავლება გამართულ რეჟიმში. საგაკვეთილო ცხრილი წარმოდგენილია დაუზუსტებელი სახით, არ არის დამოწმებული ბეჭდითა და ხელმოწერით და არის არაკორექტულად წარმოდგენილი. საკლასო ჟურნალების წარმოება არის შეუსაბამო და გამოიკვეთება სხვადასხვა ტიპის დარღვევები: გადახაზული ნიშნები,შეუვსებელი ან არასრულად შევსებული გვერდები. პირველ გვერდზე , სახელობითი სიის გასწვრივ არ არის სრულყოფილად ასახული მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია; საგნის გვერდები არ არის დასათაურებული რიგ შემთხვევებში. ყველა ჟურალს ყდაზე აწერია ძირითად სახელწოდებასთან ერთად ,,დაგმარა ცანავა ხელოსანი 95“ ასევე მეორე სახელიც, კერძო საშუალო სკოლა მილენიუმი“.ეს უკანასკნელი არ არის დარეგისტრირებული არც ერთ შესაბამის უწყებაში.აღნიშნულის შესახებ სკოლას მიეცა რეკომენდაცია წინა მონიტორინგის დროს,რაც არც განმეორებითი ვიზიტის დროს არაა შეწორებული.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო-სასწავლო გეგმით; • სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 12.09.2017.); • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • კათედრების ოქმებით; • პედაგოგებთან გასაუბრებით. • დანართები: 1-14;
შეფასება	**არ არის დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის თავი 2. მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნ

1.2 **სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

აღწერა	სკოლაში , მიმდინარე სასწავლო წელს, სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე და ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა: • დაწყებითი საფეხურის კათედრა; • ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; • ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • უცხოური ენების კათედრა; • სპორტის,ხელოვნებისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა; მოგვეწოდა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პორტფოლიო, სადაც ინახება ინფორმაცია კათედრის წევრი მასწავლებლების შესახებ არასრული სახით, შეფასების კრიტერიუმები, კათედრის სამუშაო გეგმა, შემაჯამებელი სამუშაოების მხოლოდ სემესტრული ანალიზის ფორმები, თემატური გეგმები . თემატური გეგმები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. არ არის შემაჯამებელი დავალებების ტიპები. არ არის მიმდინარე ანალიზები. ქართულ ენასა და ლიტერაურაში წარმოდგენიალია 7 შემაჯამებელი დავალება მე-11 კლასში და ყველა ტესტური ტიპის, მწირი და ორიენტირებული მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის შემოწმებაზე. (დანართი 15) ; შესწავლილი მასალების დათვალიერებით, ვერ დგინდება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის და სასწავლ პროცესში მათი ჩართულობის გაზრდისათვის განხორციელებული პროექტების/გეგმების შესახებ ინფორმაცია. სასკოლო გარემოს გააქტიურება ,გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მორგება აუცილებელი წინაპირობაა მოსწავლემ შეიძინოს ესგ-თი გათვალისწინებული ცოდნა,უნარები და ღირებულებები. სკოლას მიეცა მითითება ვიზიტის პერიოდში წარმოადგინონ ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი მასალები. ჩვენი მოტხოვნის საფუძველზე ,წარმოგვედგინა ერთი სადამრიგებლო პორტფოლიო. დამრიგებლის პორტფოლიოში არ არის წარმოდგენილი დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, აღნიშნული დოკუმენტი არ გვაქვს არც სსგ-ში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი კლასის ფრაგლებში ჩასატარებელი სადამრიგებლო საათის გეგმა. (მ.პაიკიძე , პირველი კლასი) მასში ძალიან ზოგადადაა გაწერილი დამრიგებლის ვალდებულებები, ხოლო მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ფაქტიურად არ არსებობს. სემესტრის ბოლოს არ არის თითოეულ მოსწავლეზე წარმოდგენელი განმავითარებელი კომენტარი. უფრო მეტიც, დამრიგებლის პორტფოლიოში ვხედავთ პირველი კლასის სემესტრულ შეფასებას ,,ჩთ“ ყველა საგანში (დანართი 16) არ ჩანს სადამრიგებლო, მათ შორის კითხვის საათის ჩატარების შესახებ ინფორმაცია არც სასკოლო ცხრილში და არც სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე შეუვსებელია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისათვის დადგენილი ანკეტა-კითხვარები, ჩაშლილი კრიტერიუმების მიხედვით , I სემესტრისა ბოლოს ან/და სასწავლო წლის მიმდინარეობისას. არც პედსაბჭოს სხდომებზე ხდება თითოეული მოსწავლის თუნდაც სემესტრის ბოლოს აკადემიური მიღწევების ანალიზი. ასევე წარმოგიდგენთ დანართის სახით პირველი კლასის მოსწავლის დახასიათებას (დანართი 17), რომელიც თავის მხრივ არ ასახავს მოსწავლის შესახებ ფასეულ ინფორმაციას;
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით • პედაგოგებთან გასაუბრებით; • მოსწავლეებთან გასაუბრებით; • კათედრისა და დამრიგებლების პორტფოლიოებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• დანართები:15;16;17;
შეფასება	**არ არის დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის თავი 2. მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	სკოლაში ვიზიტის პერიოდისთვის არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, რომელიც არის ზუსტად კოპირებული ესგ-დან და არ არის მორგებული სკოლის საჭიროებას. გაწერილია ზოგადი პრონციპები. არ არის დაკონკრეტებული ისგ-ს ჯგუფი, რომელიც საჭიროების გამოვლენიდან განსაზღვრულ ვადებში მოახდენს მოსწავლისათვის ისგ-შ შედგენას. ასევე სასკოლო სასწავლო გეგემაში არ არის წარმოდგენილი ისგ-ს ნიმუში. სკოლა სიტყვიერად აცხადებს მზაობას, საჭიროების გამოვლენისთანავე უზრუნველყოს მოსწავლისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, თუმცა არსებული მდგომარეობით ეს არ დასტურდება. ვიზიტის ფარგლებში არ იყო წარმოდგენილი სკოლის სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; • პედაგოგებთან გასაუბრებით. • დანართი 12;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

შეფასება	არ არის დაკმაყოფილებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის თავი 2. მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. ქართული ენისა და ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პორტფოლიოში ინახება კონკრეტული საგანებისა შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინეს კონკრეტული რუბრიკები და განმსაზღვრელი შეფასების მაგალითები. არ არის განმავითარებელი შეფასების დამადასტურებელი მაგალითები და ასევე პირველი კლასი შეფასებული ,,ჩთ“ გამოყენებით ყველა საგანში. არ არის შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები საჯაროდ გამოკრული სასკლასო ოთახებში და ცნობილი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის; სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, თუმცა არ არის გაწერილი მათი შესრულების გრაფიკი.ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პორტფოლიოში დევს შემაჯამებლის ტიპები ,ასევე გრაფიკის გარეშე. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი არ იცნობენ შეფასების სიტემას, არა აქვთ ინფორმაცია შეფასების რუბრიკების შესახებ. სკოლაში არ გამოიყენება განმავითარებელი შეფასებები;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით; • მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით. • დამრიგებლის პორტფილიოებით;
შეფასება	**არ არის დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის თავი 2. მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

აღწერა	სკოლას არ აქვს ცალკე შემუშავებული დოკუმენტი მშობლის ინფორმირების წესის შესახებ, მშობლის ინფორმირების წესი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ასევე სსგ-ში არის მითითებული, რომ თვეში ერთხელ სკოლა მშობელს აწვდის მისი შვილის აკადემიური მოსწრების ფურცელს. ვიზისტის პერიოდში არ მომხდარა ასეთი ფურცლის წარმოდგენა. ზეპირი ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ სატელეფონო კავშირით ხორციელდება მშობლის ინფორმირება. დამრიგებლის პორტფოლიოში ინახება მშობელთა კრების ოქმი N1, სადაც მშობელს მიეწოდება ინფორმაცია სასწავლო წლის დაწყებასა და შინაგანაწესის შესახებ. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება ვებ-გვერდი, რომელიც ვიზიტის პერიოდისათვის არ იყო მოქმედებაში.
დადასტურება/დანართი	• შინაგანაწესით; • სადამრიგებლო პროგრამით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• მასწავლებლებთან გასაუბრებით; • მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.
შეფასება	**არ არის დაკმაყოფილებული** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის თავი 2. მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	სკოლას არ წარმოუდგენია რაიმე ტიპის კითხვარი, რომლითაც ხდება პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა, სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით. ჩატარებულ პედსაბჭოებზე განხილული საკითხები ატარებს ზოგად და სარეკომენდაციო ტიპის ხასიათს. არ მომხდარა პირველი სემესტრის შედეგების შესწავლა ანალიზი და მეორე სემესტრისათვის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა კათედრების მიხედვით. ჩვენთვის წარმოდგენილი მხოლოდ ერთი კათედრის პორტფოლიოს დათვალიერებისას იკვეთება,რომ ჩატარებული აქვთ მხოლოდ N1 შეხვედრა სასწავლო წლის დასაწყისში. არ ჩანს დირექციისა და კათედრის ხელმძღვანელების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზების ამსახველი რაიმე ტიპის დოკუენტაცია, რომლის გათვალისწინებაც მოხდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისში და რომელიც მოემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მაგალითისათვის წარმოგიდგენთ 2018 წლის 25 დეკემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმს N3 **(დანართი 18);** მასში ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი პირველი სემესტრის შედეგებზე და მათ ანალიზზე და არც მე-2 სემესტრის სამუშაო გეგმაა არაა პროექტის სახითაც კი წარმოდგენილი;
